საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030673446596220

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/5199 **21 / დეკემბერი / 2020 წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ მზია გიორგობიანს

ქალბატონო მზია,

მიმდინარე წლის 3 დეკემბერს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან შემოსული N01/4212 წერილის პასუხად, რომელიც წარმოადგენს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის სკრინინგის განაცხადს, გაცნობებთ შემდეგს:
„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის და სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული განსახორციელებელი საქმიანობის/საქმიანობების მასშტაბის გაზრდას, საქმიანობის განხორციელების ადგილის ცვლილებას (მათ შორის, გაზრდას), საქმიანობის/საქმიანობების სახეობის, ექსპლუატაციის პირობების ან წარმადობის ცვლილებას), რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის“, ამავე ნაწილში ჩამოთვლილი სექტორებიდან.
ვინაიდან, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიდან“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, ეფუძნება ქვეყანაში უკვე არსებულ და დამტკიცებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებშიც უკვე განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გამოყოფილია ბიუჯეტი, აღნიშნული სამოქმედო გეგმა არ წარმოადგენს სამომავლო განვითარების ჩარჩოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული კონკრეტული საქმიანობებისთვის, მიღებული იქნა სკრინინგის გადწყვეტილება, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა არ დაექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე